ა(ა)იპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და ქ.ახალციხის №2 საჯარო სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. ახალციხე

01. 03. 2013 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი) წარმოდგენილი მისი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, სრული პროფესორის მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, ქ.ახალციხის №2 საჯარო სკოლა (შემდგომში სკოლა) წარმოდგენილი მისი დირექტორის, მარინა ზედგინიძის სახით, მხარეები ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1.

მემორანდუმის მიზანია უნივერსიტეტსა და სკოლას შორის მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება განათლების სფეროში. უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთათვის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სასწავლო პრაქტიკის ბაზის შექმნა.

მუხლი 2.

1. მემორანდუმის მიზნის განსახორციელებლად მხარეები იღებენ ვალდებულებას შემდეგზე:

უნივერსიტეტი:

ა) უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეებისათვის საჯარო ლექციების ჩატარებას სხვადასხვა დარგობრივი დისციპლინების მიხედვით შესაბამისი აკადემიური პერსონალის მიერ;

ბ) უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მიერ, უნივერსიტეტში არსებული აკრედიტებულ მასწავლებელთა პროფესიული საგანმათლებლო პროგრამის ფარგლებში სკოლის პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადებას და გადამზადებას;
გ) უზრუნველყოფს სკოლის პედაგოგთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართვას;
დ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ, სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეების რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში და სასწავლო საგნობრივ ოლიმპიადებში აქტიურ ჩართვას.

სკოლა:

ა) უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი დაწყებითი განათლების საბაკალავრო, მასწავლებელთა მომზადების მინორ და მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში არსებული სასწავლო პრაქტიკის მოთხოვნების მიხედვით, უნივერსიტეტის სტუდენტებსა და მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელებს უზრუნველყოფს სასწავლო პრაქტიკით, რისთვისაც შექმნის სათანადო პირობებს;
ბ) ხელს შეუწყობს მემორანდუმის მიზნის განხორციელებას.
2. მხარეები უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სკოლის პედაგოგების მეშვეობით, მოამზადებენ ერთობლივ სასწავლო და კვლევით პროექტებს.

მუხლი 3.

მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები განისაზღვრება მემორანდუმის საფუძველზე.

მუხლი 4.

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5.

მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 6.

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 7.

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

ა(ა)იპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სრული პროფესორი

მერაბ ბერიძე

ქ.ახალციხის №2 საჯარო სკოლა

დირექტორი

მარინა ზედგინიძე

შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. ახალციხე „25“ 01 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი მისი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, ქ.ახალციხის №2 საჯარო სკოლა (შემდგომში „სკოლა“) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ბელა გვრიტიშვილი-დიასამიძის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, „არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის №194 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 04 აპრილის №272 დადგენილებისა და ა(ა)იპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და ქ.ახალციხის №2 საჯარო სკოლას შორის 2013 წლის 01 მარტს დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მე-5 მუხლის თანახმად, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდგზე:

1.შეტანილ იქნეს ცვლილება მხარეთა შორის 2013 წლის 01 მარტს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემურანდუმის პრეამბულაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ერთის მხრივ, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი მისი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, ქ.ახალციხის №2 საჯარო სკოლა (შემდგომში „სკოლა“) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ბელა გვრიტიშვილი-დიასამიძის სახით, მხარეები ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეთა უფლებამოსილების ფარგლებში დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე: “

2.შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად, რომელიც წარმოადგენს მხარეთა შორის 2013 წლის 01 მარტს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ინახება მხარეებთან.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქ.ახალციხის №2 საჯარო სკოლა
რექტორი, როფესორი	დირექტორი
მერაბ ბერიძე	ბელა გვრიტიშვილი-დიასამიძე
----------	----------